წლიწადი მეორე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

# თეთრი გიორგი

— რუსნი ბუნებით მტერნი არიან —
ალექსანდრე ბატონიშვილი

— დედ-მამაზედაც ხელი ამიღია თუ ისინი რუსეთთან შერიგებას მირჩევენ—
ლევან ბატონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი
თებერვალი 1927 წ.
N. 3
ფასი : 2 ფრ.

ორგანო საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა «თეთრი გიორგი»-ს

„St-GEORGES". Journal de la Jeunesse Patriote Georgienne

Prix : 2 Fr.
N° 3.
Février 1927
PARIS

***

ნაციონალიზმი დიდ გარდაქმნას განიცდის. აქამდის ის უფრო ინტელექტუალური შეგნება იყო. მისი მატარებელნი და წარმომადგენლები კი უმაღლესი კლასები: არისტოკრატია მონარქიულ რეჟიმში, ბურჟუაზია და ინტელიგენცია დემოკრატიაში. ამნაირად ნაციონალიზმის ხასიათს ეს გარემოება განსაზღვრავდა.

დღეს ნაციონალიზმმა მიაღწია უმაღლეს განვითარებას: მან მოიხვეჭა ერის შემადგენელი ყველა ელემენტების მატერიალური და სულიერი ინტერესები და მათზე მყარდება. მან გადალახა გრძნობების საზღვრები და თავის უდიდეს საფუძველს თანამედროვე ეკონომიურ სისტემაში პოულობს.

ამნაირად ეროვნულმა ცხოვრებამ დღეს გადაჭრა ჩვენი საუკუნის უდიდესი ამოცანა, შექმნა რა ჰარმონია ნაციონალიზმსა და ეკონომიკის შუა. მხოლოდ ამნაირ ჰარმონიას შეეძლო კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობის შექმნა და მოწესრიგება.

ნაციონალიზმის გარდაქმნასთან ერთად ხდება სახელმწიფოს ევოლუცია. მეთვრამეტე საუკუნეში სახელმწიფომ მიაღწია თავის სუვერენობის სრულ შეგნებას და თავი გაინთავისუფლა ეკლესიის საერთაშორისო ბატონობიდან. ეს იყო დიდი პროგრესი ეროვნულ სახელმწიფოებრივ და მაშასადამე კულტურულ განვითარებისა. დღეს სახელმწიფო ნაციონალიზმთან ერთად კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე ადის: კლასოკრივიდან იქმნება ეროვნულად და თავს ინთავისუფლებს სოციალისტურ ინტერნაციონალიზმის ტირანიიდან. ეს განთავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სახელმწიფოზე ეკლესიის ბატონობის მოსპობა რადგან:1 სოციალისტების ინტერნაციონალიზმი უფრო დამანგრეველია ერის ცხოვრებისა ვიდრე იყო ეკლესიის ინტერნაციონალიზმის ბატონობა. 2) ეკლესიის ბატონობას უარყოფითი მხარეების გარდა დადებითი მხარეებიც ჰქონდა სულიერ—კულტურულ მნიშვნელობისა. განა ბევრ სხვა ღვაწლის გარდა ეკლესიამ არ შეუწყო ხელი გენიოს მიქელ ანჯელოს, რაფაელის და სხვების შემოქმედებას? სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს კი მხოლოთ უარყოფითი მხარეები ახასიათებს, ვინაიდან მის ნიადაგზე მოხდენ საშინელი დანგრევანი და ბოროტმოქმედებანი და წარმოიშვენ ლენინები, სტალინები, ბელაკუნები,, სამშობლოს გამყიდველნი და სხვები. 3) სოციალისტურ ინტერნაციონალიზმმა ცალი მხრივ ვერავითარი მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა ვერ შექმნა, ვინაიდან ამას არავითარი რეალური ნიადაგი არა აქვს ცხოვრებაში; მეორე მხრივ არც ერთ მუშას არსად და ვერასდროს ვერაფრით ვერ დაეხმარა და ყველა დემაგოგს და მატყუარას კი დიდი პოლიტიკური კარიერები შეუქმნა. უდიდესი საბუთი ამ დებულებისა კი ის არის რომ იქ სადაც მუშათა მდგომარეობა მართლა კარგ პირობებშია და არსებობს კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა—ამერიკაში— იქ ინტერნაციონალიზმს და სოციალიზმს არავითარი ალაგი არა აქვს, და ამერიკულ მუშათა ცხოვრების გაუმჯობესება ხდება არა ინტერნაციონალიზმის არამედ ეროვნულ ეკონომიკის აყვავების წყალობით.

ამ ისტორიულ — პოლიტიკურ ევოლუციის ნიადაგზე ხვდებიან და ავსებენ ერთმანეთს ახალი ნაციონალიზმი და ახალი სახელმწიფო. მხოლოდ ამ ორ შეერთებას ძალუძს და სურს კიდევ უფრო ფართოდ, უფრო სამართლიანად, უფრო ჰარმონიულად მოაწყოს ახალი დემოკრატია, რომელიც დღეს აშკარად იჭერს ადგილს დღევანდელ უკვე დამპლებულ და რეაქციონურ კლასობრივ დემოკრატიისა. ეს ახალი დემოკრატია შენდება ეროვნულ ნიადაგზედ. ეროვნული ნიადაგი კი ერთად ერთი რეალური ნიადაგია, რომელზედაც იბადება და ვითარდება როგორც ინდივიდუალური გენია ისე საზოგადოებრივი აღორძინება და ევოლუცია. თეთრი გიორგი მატარებელია ამ პრინციპების და მათ საქართველოში განახორციელებს, რადგან ისინი სავსებით უპასუხებენ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებებს; შეეფერებიან მის ისტორიულ ტრადიციებს; შესძლებენ მის მომავლის განმტკიცებას.

---

## ქართული ჯარის ორგანიზაცია

### (ცხენოსანი ჯარი)

### წერილი პირველი

საჭიროა 1921 წლის დამარცხებიდან, როგორც პოლიტიკური აგრეთვე სამხედრო დასკვნები გამოვიყვანოთ. ამითი, იქნებ შემდეგში მაინც, შეცდომები თავიდან ავიცილოთ.

სამხედრო თვალსაზრისით ჩვენი დამარცხების მიზეზები ორნაირი ხასიათისაა: ტაქტიკური და სტრატეგიული.

ამ წერილში ჩვენ სავსებით თავს ვანებებთ ტაქტიკურ მხარეს და ვეხებით მხოლოდ სტრატეგიულს.

სტრატეგიული მიზეზები ჩვენი დამარცხებისა უმთავრესად შემდეგში მდგომარეობდა.

1. — ეროვნული რეგულიარული ჯარის გვერდით პარტიულ ჯარის არსებობა.

2. — სამხედრო სამინისტროს და შტაბის მიერ ჯარის რიცხვის უცოდინარობა. ქაღალდზე ჯარის რიცხვი სამოცდა ათი ათასი იყო აღრიცხული, რეალურად კი ოცი ათასიც არ არსებობდა.

3· — მობილიზაციის სისტემის უქონლობა. ამას დაუმატეთ უკიდურესათ გავრცელებული დეზერტირობა.

4. — შტაბის მიერ ტფილისის დაცვის პლანის უქონლობა,

5. — ცხენოსან ჯარის უყოლობა.

ამ წერილში შევეხებით მხოლოდ ამ უკანასკნელ საკითხს, ე. ი. ცხენოსან ჯარს. შევეცდებით დავასაბუთოთ მისი აუცილებლობა დამოუკიდებელ საქართველოსათვის; შევეცდებით აგრეთვე მისი ორგანიზაციის, ტაქტიკის და სტრატეგიის მეცნიერულ განხილვას.

ჩვენი დამარცხების დანარჩენ სტრატეგიულ მიზეზებს კი სხვა წერილებში განვიხილავთ.

სამხედრო პრაქტიკამ და მაშასადამე სამხედრო მეცნიერებამაც საბოლოოთ და უკამათოთ დაამტკიცა რომ მოძრაობის, ალლურის (მანევრის) ომში უდიდეს როლს თამაშობს ცხენოსანი ჯარი. არმია, რომელსაც ცხენოსანი ჯარი არა ჰყავს აუცილებლათ დამარცხებულია.

თუ ამ შემთხვევაში რუსეთ იაპონიის ომი გამონაკლისს შეადგენს, არ უნდა დავივიწყოთ:

1) რომ ეს მაგალითი სამხედრო ისტორიაში დიდი გამონაკლისია;

2) რომ იაპონია სავსებით მაინც, ისე როგორც ჩვენ არ იყო მოკლებული ცხენოსან ჯარს.

3) რომ იაპონიის ჯარის დანარჩენ ნაწილების ბრწყინვალე ღირსება ამ ნაკლს ავსებდა.

ცხენოსანი ჯარი ნაკლებ როლს თამაშობს პოზიციის ომში და თითქმის არავითარს იმნაირ პოზიციის ომში როგორიც შეიქმნა მსოფლიო ომის დროს.

ჯერ კიდევ დიდი ხანი გავა სანამ ჩვენ პოზიციის ომის წარმოებას შევძლებთ. ეს შემდეგი მიზეზებით:

4) პოზიციის ომი საჭიროებს ქვეყნის უდიდეს ტეხნიკურ განვითარებას.

5) საჭიროებს მრავალ-რიცხოვან ჯარს. რომელიც უნდა ჰფარავდეს ვრცელ ფრონტს, რომლის სიგრძეზედ გაყვანილი უნდა იყოს სამი ოთხი რიგი განუწყვეტელი თხრილებისა, რთული სისტემის ფორტიფიკაციებისა. ჩვენ კი მრავალ რიცხოვანი ჯარი არას დროს არ გვეყოლება.

6) პოზიციის ომის წარმოება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ფრონტი იმყოფება ან ორ ზღვას ან ორ ნეიტრალურ სახელმწიფოთა შუა, ან ერთი ზღვის და ერთი ნეიტრალურ სახელმწიფოს შუა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე ძალებს აღარ შეუძლიათ ფრთების შემოვლა და იძულებული არიან ფრონტალური ტაქტიკა იხმარონ და ეს ჰქმნის პოზიციის ომს. საფრანგეთის ფრონტი იმყოფებოდა პა-დე- კალეს და შვეიცარიის შუა.

ჩვენი ეროვნული შესაძლებლობა და გეოგრაფიული მდგომარეობა ყველა ამ პირობათა გარეშე სდგას.

მაშასადამე ვინაიდან არ შეგვიძლიან პოზიციის ომის წარმოება, ჩვენ ყოველთვის იძულებული ვიქნებით ვაწარმოოთ მოძრაობის, ალლურის ომი. ეს ომი სხვათა შორის ჩვენთვის ხელსაყრელიც არის, ვინაიდან უფრო შეეფერება ჩვენ ეროვნულ ხასიათს და ფსიხოლოგიას.

ალლურის ომში უდიდეს როლს თამაშობს ცხენოსანი ჯარი. ეს იმიტომ რომ ალლურის, მოძრაობის ომის კვინტესენცია არის სისწრაფე. იგი უმთავრესად გამოიხატება მოწინააღმდეგე ჯარის ფრთის ან ფრთების შემორკალვაში ან მის ზურგში შესვლაში.

აღსანიშნავია კიდევ ის ფაქტი რომ მოძრაობის ომს ხელს უწყობს ჩვენში ტოპოგრაფიული ხასიათი ჩვენი ქვეყნის იმ ნაწილისა, რომლიდანაც მუდამ უნდა ველოდეთ ჩრდილოეთ ბარბაროსების თავდასხმას. ამ მოკლე წერილში მგონი საკმარისად დავასაბუთეთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ცხენოსან ჯარის საჭიროება. შემდეგ წერილებში შევეხებით მის ორგანიზაციას, ტაქტიკას და სტრატეგიას.

(გაგრძელება იქნება)

ლეო კერესელიძე

---

## წესიერების თანამედროვე ფორმა და ბოლშევიზმი

ყოველი სოციალური ორგანიზმი ძლიერ პოლიტიკურ განცდათა შემდეგ უძლურდება სულიერად და მატერიალურად. ცხოვრების ყველა დარგში ხდება დეზორგანიზაცია და ჩაღდება ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე ბანაკთა: საზოგადოების დამრღვევ, გამხრწნელ და წესიერების აღმდგენ და სიცოცხლის დამცველ ელემენტთა შორის. ხშირად პირველი სძლევს მეორეს და მაშინ თვით უმაღლეს განვითარების საფეხურზე ასულ ერების ცივილიზაციიდან ბაბილონ ასურეთი, ნინევიის და ეგვიპტეს ნანგრევები რჩება. ასეთ ბრძოლას დღეს ადგილი აქვს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში.

დიდი ომის შემდეგ გაიზარდა ანტიეროვნული ინტერნაციონალური მოძრაობა კომუნიზმისა და სოციალიზმის სახით, რომელმაც პირველად განუვითარებელ და ჩამორჩენილ რუსეთში მოიდგა ფეხი, სადაც ნაკლები კულტურული წინააღმდეგობა შეხვდა და იქიდან მსოფლიოს აფეთქებით ემუქრება. მაგრამ თუ რუსის ხალხმა ვერ ჰპოვა ვერც ეროვნული შეგნება და ვერც სხვა საშვალებანი ანარქიის თავიდან ასაცილებლად, აქ ევროპაში მარქსის კომუნისტურ აჩრდილს წინ აღუდგა სიცოცხლის მატარებელი ძალა, ძალა პროგრესიული, წესიერების და კულტურის დამცველი, ძალა ეროვნული, სამშობლოს დაცვის ინსტინქტიდან წარმოშობილი.

ოფიციალური ძალა, სუსტი და უავტორიტეტო დემოკრატიული ხელისუფლებანი კარზე მომდგარ ანარქიას გულზე ხელ-დაკრეფილნი ხვდებიან. საზოგადოების დამცველად გამოდის ახალი ენერგია, აღმოცენებული წმიდა ეროვნულ ნიადაგზე, რომელიც უარყოფს სანტიმენტალურ და რომანტიულ ნაციონალიზმს და აყენებს ახალ პრინციპს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისა.

ერი ყოველთვის იყო რეალური კონკრეტიული მოვლენა, ერთად ერთი ნიადაგი ყოველგვარ შემოქმედებისა, მაგრამ ეროვნული ცხოვრების სისტემატიური მოწესრიგება განსაზღვრული ანგარიშით, გეგმით და დისციპლინით, ეს არის ახალი იდეა, რომლის მიზანია დაანგრიოს პირბადე ჩამოფარებული, საკაცობრიო პრინციპებით მოვლინებული კომუნისტური დემაგოგია და განამტკიცოს ეროვნული სახელმწიფო ავტორიტეტის აღდგენით, სამშობლოს იდეის მუდმივი ეგზალტაციით, ყველა სოციალურ კლასთა შორის ჰარმონიის და თანხმობის დამყარებით.

ამ მოძრაობას სხვა და სხვა სახით დღეს ადგილი აქვს მთელს ევროპაში. იგი ითვლება ერთად ერთ აქტიურ ძალათ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მას უწოდებენ მემარჯვენე მოძრაობას, მაგრამ ეს შეცდომა არის და ტერმინი შინაარსს ვერ გამოხატავს. პოლიტიკაში მემარჯვენეს უწოდებენ კონსერვატორებს. კონსერვატიზმი კი ნიშნავს არსებულ და ძალაში მყოფ წესწყობილების დაცვას; მაშასადამე დემოკრატიული რეჟიმი, როგორც დამცველი დიდიხნიდან დამკვიდრებული რეჟიმის, არის კონსერვატიული, მემარჯვენე და ახალი მოძრაობა კი — წარმომადგენელი განახლებულ სოც. პოლიტ. ფორმების, არის პროგრესიული და არა მემარჯვენე. უფრო სწორი და მისაღებია სახელწოდება ფაშიზმი (Fascio კონა), როგორც ემბლემა ეროვნული მთლიანობის და თანხმობის, როგორც სიმბოლო ეროვნულ ენერგიათა შეერთების.

სოციალისტები და მათი მიმდევარი ლიბერალურ დემოკრატიული პარტიები ფაშიზმს და კომუნიზმს მოძმე და მსგავს დესპოტიურ ტირანიულ მოძრაობათ ნათლავენ.

ეს სრულიად გასაგებია, ვინაიდან მათ, კლასობრივ ინტერესების მატარებელთ, არ აქვთ წარმოდგენილი ერი გარეშე პარტიულ გეგემონიისა და ფაშიზმი, როგორც ზეკლასიური მოვლენა უარმყოფი ყოველგვარ ჯგუფურ ბატონობისა, მათ ტირანიულად ეჩვენებათ. ამიტომ არის ჩვენი მეშევიკებიც ამ ახალ პატრიოტულ მოძრაობის წინააღმდეგ ილაშქრებენ (კომუნიზმს კი რუსეთში ხცნობენ რევოლიუციის კერად და მის დასაცავ რეზოლიუციას ხმასაც აძლევენ მარსელის კონგრესზე). ისინი ამბობენ: «ჩვენთვის სულ ერთია ბოლშევიკური თუ ფაშისტური საქართველო, ორივეს ერთნაირად უნდა ვებრძოლოთ»-ო. მათთვის სულ ერთია, ისინი მხოლოდ ბოლშევიზმს ებრძვიან, მილიუკოვ—აბრამოვიჩ წრეთლის რუსეთს კი ერთგულებას ფიცავენ. მათ მხოლოდ რეჟიმი აინტერესებთ, ეროვნული საკითხი კი ტაკტიკის საკითხია (იხილეთ ბ. ჟორდანიას «ბრძოლის საკითხები»), ცხადია მათთვის მიუღებელია საქართველო, ზეკლასიური ეროვნული მთავრობით, სადაც ყოველგვარი ანტიქართული მენშევიკურ-ბოლშევიკური მოძრაობა საშინელი ულმობელობით გასრესილი იქნება.

მართალია, ბოლშევიზმი არის ტირანია, როგორც გამომჟღავნება და საუკეთესო განხორციელება რუსულ ბნელ, ბუნტარულ, ნიღილისტურ სულის. მას არაფერი საერთო არა აქვს ფაშიზმთან, რომელიც არის განსპეტაკებულ ლათინურ ეროვნულ სულის ამხედრება სამშობლოს და კულტურის დასაცავად. ბოლშევიზმი ემყარება ერის უმნიშვნელო ნაწილს, პროლეტარიატს, აღიარებს მის ბატონობას და დანარჩენ კლასებს ომს უცხადებს. «პროლეტარიატის დიქტატურა, სწერს ლენინი, არის მანქანა ბურჟუაზიის და არისტოკრატიის მოსასპობად». სამოქალაქო ომი, ინტერნაციონალური მოქმედება მსოფლიოს ასაფეთქებლად, მილიტარიზაცია პარტიის რკინის დისციპლინის დამყარებით, საშუალო საუკუნოების ტერორი და ინკვიზიცია, რომ მეტოდიური სისასტიკით მოასპოს უმრავლესობას ერთი მუჭა ჯგუფის ნებისყოფა და იდეოლოგია, აი მოკლედ მთელი კომუნისტური დოქტრინა.

ფაშიზმი კი სრულიად საწინააღმდეგო მოვლენაა. იგი ემყარება ერს მთლიანად, მისი დიქტატურა არის ეროვნული; ფაშიზმი უარყოფს ერთი რომელიმე კლასის პრივილეგიებს. ყოველ კლასს თავისი სოციალური ფუნქცია აქვს საზოგადოებაში და მათი შეთანხმებითი მუშაობისაგან დამოკიდებულია ერის სიძლიერე, რომლის გარეშე არ არსებობს არც ერთი ჯგუფის ბედნიერება. ბურჟუაზია ისევე საჭიროა ერის აღორძინებისათვის, როგორც პროლეტარიატი. კაპიტალ-შრომას თანასწორი უფლება აქვს. სახელმწიფო არის არბიტრი და არა რომელიმე კლასის ბატონობა. აი ამ ახალი მოძრაობის მთავარი შინაარსი.

ფაშიზმი დღეს მთელს იტალიას შეიცავს რამოდენიმე გადაგვარებულთა გამოკლებით. ერის ყოველმა წრემ მასში იპოვა თავის ინტერესების განხორციელება და მუშაობს სრული შეგნებით ეროვნულ აღორძინებისათვის, მაშინ როდესაც კომუნისტური პარტია, რუსეთის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და მისი «შემოქმედებითი მუშაობა» ყველასათვის ცნობილია.

ბოლშევიკურ სამფლობელოში არ არსებობს არავითარი თავისუფლება, გარდა კომუნისტურისა, მაშინ როდესაც ფაშისტურ იტალიაში ყოველგვარი ეროვნული აზროვნება სრული თავისუფლებით სარგებლობს, იზღუდება და იდევნება კომუნისტურ-სემიტური ანტიეროვნული მოძრაობა; ერის გამხრწნელ ელემენტთათვის თავისუფლება არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს. ტერორმა და სიმხეცემ რუსეთში საშუალო საუკუნეების ინკვიზიციას გადააჭარბა, იქ ასი ათასი მსხვერპლია, ფაშისტურ იტალიაში მსხვერპლთა რიცხვი თითზე ჩამოითვლება. სიკვდილის დასჯაც არ არსებობს.

კომუნისტური რევოლიუცია არის სისხლიანი, ნგრევითი, ფაშისტური ეროვნული რევოლიუცია კი აღმშენებლობითია და ყველგან მშვიდობიანად ხდება სისხლ დაუღვრელად.

მართალია ორივე მოძრაობას ახასიათებს გამბედაობა, შეურყეველი ნება, სისასტიკე და რკინის დისციპლინა, მაგრამ აქაც მსგავსება მხოლოდ გარეგნული ხასიათის არის, არსებითად ფაშისტურ დისციპლინას და სისასტიკეს ბოლშევიკურთან არაფერი საერთო არა აქვს. პირველი ეყრდნობა სად ეროვნულ შეგნებას, მეორე კი—მმართველ ჯგუფის ეგოისტურ ინტერესებს. აქედან გამომდინარეობს ბოლშევიკური ტერორის მთელი სიმხეცე.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიზმს და ფაშიზმს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს. პირველი არის ანარქიული, ანტიეროვნული ძალა, მტერი თანამედროვე ცივილიზაციის, მეორე კი კულტურული, ეროვნული, მოვლენილი დღევანდელ დაქვეითებულ საზოგადოების გასაჯანსაღებლად და კომუნისტურ სოციალისტურ უკუღმართობის მოსასპობად.

კ. სალია

14 იანვარი.

მოვიდა მცხეთას... გაიშალა მინდორში თმები
და ძველ ღმერთებმა სასწაული დიდი იხილეს:
დაღამდა დილა... იძრა მიწა, შეირყა მთები
და ვაზის ჯვარით დაუჩლუნგა ბირი მახვილებს.

სიონში დღესაც ვხედავ დედებს ხევდით მოხრილებს.
წმიდანისაგან მოელიან სასწაულ. დები...
ძმების საფლავებს ვერ დავადეთ მძიმე ლოდები
და მათი სისხლი წყაროებათ დასდის ბნელ თხრილებს.

დე, გმირთა გვამებს ერი ფარად გადაეფინოს!
გწყალობდეთ ხმალი დავითისა და ჯვარი ნინოს!
თქვენ კი, უღირსნო, რომ გაზვიეთ დედა შავებში,

აკვანს ნუ არწევთ მშობელთ სისხლში გასვრილ ხელებით,
თორემ ყოველი ღერი თმისა სქელ ნაწნავებში
გადმოეშვება ნინოს ჯვარზე ბასრ მახვილებათ.

ს. ბერეჟიანი

საბჭოთა ხელისუფლება და ინტელიგენცია

(წერილი საქართველოდან ახლად ჩამოსულის)

დღიდან ძალა-უფლების მოპოვებისა, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მუდამ მწვავედ იდგა საკითხი მისი ინტელიგენციასთან დამოკიდებულების შესახებ. სამხედრო კომუნიზმის დროს, — ნგრევის ხანაში, ეს ხელისუფლება ინტელიგენციის მისდამი მტრულ განწყობილების შედეგებს ვერ გრძნობდა ისე სასტიკად, მაგრამ ახალი ეკ.-ონ. პოლიტიკის შემოღების დღიდან, როცა საბჭოთა ხელისუფლება იძულებული შეიქნა აღმშენებლობის გზაზე დამდგარიყო, ინტელიგენციასთან თანამშრომლობა, მასთან საერთო ენის გამონახვა მისთვის აუცილებელი შეიქნა. ამ მიზნით ის წავიდა მთელ რიგ პოლიტიკურ-ეკონომიურ დათმობაზე, რათა თავისკენ მიეზიდა ერის ეს ნაწილი. რუსეთში ამ პოლიტიკის წარმოების შედეგად ეს საკითხი ნაწილობრივ მოგვარებულია. ჩვენში კი ის დღესაც აქტუალური ხასიათისაა. ჩვენი ინტელიგენციისთვის თავიდანვე არსებობდა გარდა პოლიტიკურ-ეკონომიურ მოტივებისა, უმთავრესად ეროვნული მოტივი, რომელმაც შექმნა უფსკრული მის და საბჭოთა ხელისუფლების შორის. ეს მოტივები ისე არიან ერთი მეორეზე გადაჯაჭვულ-გადაწნული, რომ არც ერთის მათგანის მოსპობა საბჭოთა ხელისუფლებას არ ძალუძს. ამიტომ სანამ ის არ დაეცემა ჩვენი ინტელიგენცია (მასთან ერთად მთელი ერი) იქნება მისდამი მტრულად განწყობილი და შეურიგებელი.

საბჭოთა ტერიტორიაზე ერის, მოწინავე ნაწილი, მისი სულიერი და გონებრივი კულტურის მატარებელი ეგრებად არიან გამოცხადებულნი, გარიყულნი, ფიზიკურ განადგურებისათვის განწირულნი. სახელმწიფო და საზოგადო აპარატები ხელთ უჭირავთ რეგვენ და უმეცარ კომუნისტებს, რომელნიც ბუხარინის ისტორიული მატერიალიზმის გარეშე ვერაფერს ხედავენ. ყველა არა კომუნისტი მწვავედ გრძნობს უთანასწორობას, თავის უუფლებობას, უმწეობას, კომუნისტის წინაშე. კომუნისტურ სამეფოში, ამ პარტიის წევრთათვის ყოველთვის უზრუნველყოფილია სამუშაო, კარიერა, ეკონომიური და პოლიტიკური კეთილდღეობა, ის ყველაფერია, უპარტიო კი (კომუნისტების გამოთქმით) არაფერი. სულ პატარა წვრილმანზე კომუნისტს შეუძლია რომელიმე უპარტიო, თუნდ დიდად დამსახურებული, პირადი ღირსებებით აღჭურვილი პირის სამსახურიდან დათხოვნა, დაპატიმრება და საერთოდ ყოველგვარი უსიამოვნების მიყენება. თავდაცვის საშუალება მისთვის არ არსებობს, რადგან კომუნისტურ სამეფოში მხოლოდ კომუნისტებს უჯერებენ და როგორც ვიცით საბჭოთა ტერიტორიაზე კომუნისტური პარტია—ეს ყველაფერია. ყოველი ინტელიგენტი სახელმწიფო თუ საზოგადო ორგანიზაციებში მომუშავე იმყოფება ადგილობრივ «კომიაჩეიკის თუ მისი ცალკე წევრის მუდმივი ტერორის ქვეშ. ეს უთანასწორობა იმდენად მტკივნეულია და უსამართლო, რომ კომუნისტსა და უპარტიო ინტელიგენციის შორის არსებული უფსკრული არ ამოივსება სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი ყოველი მოქალაქის პირადი ღირსების მიხედვით შეფასება პარტიულ მანდატის გარეშე რაც ცხადია საბჭოთა ხელისუფლებას არ ძალუძს.

საბჭოთა თავრობა არის უაღრესად «ინტერნაციონალური» ხელისუფლება. საქ. ტერიტორიაზე დღეს მეტის შანსებით შეუძლია არა ქართველს სამუშაოს შოვნა (რადგან უცხო ელემენტი საქართველოში უფრო ერთგულია კომუნისტების) ვიდრე ქართველს. ქართული ინტელიგენტური ძალების მიწოდება ჩვენში სჭარბობს მის მოთხოვნილებას. იქმნება უმუშევრობა. საქ. ტერიტორიაზე დაწესებულებები სავსეა უცხო ელემენტებით, ყველა გამვლელ-გამომვლელით (სომხები, რუსები, რუსი ებრაელები და სხვა) ამ დროს ჩვენი ინტელიგენცია უმუშევრობის გამო სიმშილს განიცდის და ფიზიკურ განადგურების გზაზე დგას. უცხოელები სარგებლობენ ცხოვრების საშვალებით, მას კი გასაქანი არ აქვს. სამართლიანად აღნიშნავდა მ. ორახელაშვილი აჯანყების ხანებში ერთ-ერთ კრებაზე, რომ «ინტელიგენციის ჩვენდამი მტრული განწყობილება აიხსნება მით, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარების დონე არ გვაძლევს საშვალებას მათ ყველას სამუშაო მივსცეთ, ცხოვრების საშუალება მოუპოვოთ»-ო. მართალია, ბიუროკრატიზმი და სიზანტე საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო აპარატში გამეფებული მალზე აღუკ ებს ქვეყნის ეკონომიურ წინსვლას და მით ჰქმნის სიჭარბეს გონებრივ მომუშავეთა, მაგრამ მ. ორახელაშვილი ივიწყებდა სხვა ფაქტორებს: ეროვნულს და პოლიტიკურს, რომელთაც ისეთივე ძალა აქვთ.

ბ. თედო ღლონტი, ჩვენი უნივერსიტეტის პოლიტიკური კომისარი («რექტორი») მოუწოდებდა ახალგაზრდობას უკეთ შეესწავლათ რუსული ენა და კულტურა, რომ მით რუსულ ბაზარზე გაესაღებიათ თავი, მაშინ როცა ჩვენი ბაზარი ჩვენს საკუთარ ქვეყანაში დაპყრობილი აქვს უცხო ელემენტებს. ქართველები წავიდონ სამუშაოდ რუსეთში სამუშაოს საძებნელად, იქ გადაგვარდენ—გადარუსდენ ხოლო საქართველო მართონ სომხებმა, რუსებმა და სხვებმა. ქართველი ინტელიგენციისათვის ეს თეორია უცხო და მიუღებელია. ლოზუნგი: «საქართველო ჯერ ქართველებისათვის» მისაღებია მთლიანად ქართველი ერისათვის გარდა არამკითხე კომუნისტებისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამპყრობელმა პოლიტიკამ მთელი ერი მის წინააღმდეგ დალესა, ყალყზე დააყენა. ერის ყველაზე მეტად შეგნებულმა ნაწილმა განსაკუთრებული სიმწვავით და სისასტიკით განიცადა დაპყრობის შედეგები. ქართველი ინტელიგენცია და მასთან ერდად მთელი ერი ვერ შეურიგდება ფსიქოლოგიურად ვერასდროს ერის უფლების ასე უხეშად ფეხქვეშ გათელვას. კომუნისტები ჩვენს ინტელიგენციას ყოფენ სამ ნაწილად: 1) საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთგული თანამშრომელნი, 2) ნაწილი, რომელიც განიცდის რყევას და თვალი შავი ზღვისკენ უჭირავს და 3) ამკარა მტრულად განწყობილნი, შეურიგებელნი. ასეთი დაყოფა დროებითი და მოჩვენებითია. მართალია ინტელიგენციის დიდი ნაწილი ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით იძულებულია კომუნისტურ ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს, მაგრამ როცა დადგება კომუნისტების დაღუპვის ჟამი ის მთლიანად, ყოველი დაყოფის გარეშე იქნება ეროვნულ მთავრობასთან, რომელიც მასზე იზრუნებს, როგორც თავის შვილზე. კომუნისტურ ტყვეობაში ყოფნას კუბოში ცხოვრებას, თავის ეროვნული «მე»-ობის აგუჩად აგდებას ის არჩევს თუნდ ნახევრად მშიერ ყოფნას, როდესაც იცის რომ «თავის თავი მასვე ეყუდნის».

ყველა ამ ბოროტებათა დაძლევა და მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ როცა საქართველოში დამყარდება ეროვნული მთავრობა, მთავრობის აპარატი ხელში ექნება ერის საუკეთესო შვილებს — რჩეულთ, მისი ინტერესების საუკეთესო გამომხატველთ. როცა მთავრობა ყველაფერზე მაღლა დააყენებს ერის და ქვეყნის ინტერესებს და არა პარტიულ დოგმებს: სოციალიზმს, კომუნიზმს, დემოკრატიზმს და სხვა თუნდ ეს იდეები მეტად ლამაზი და წარმტაცი იყვნენ. საქართველოს მომავალს იხსნის მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მთავრობა.

დ. ხიმონიძე

## რუსეთი როგორც ერი

მსოფლიო ომმა დაამტკიცა რომ არსებობს ორ გვარი ტიპი სახელმწიფოსი: ეროვნული სახელმწიფო ერის გამომხატველი და წარმომადგენელი, მეორე მხრივ, სახელმწიფო ძალის პოლიტიკურად ძლიერი, მაგრამ ეროვნულად შეუგნებელი. პირველი ტიპი. სახელმწიფოში არის შეგნება თავის ეროვნული მეობის, ეროვნული სხეული მთლიანია და ყოველი შვილი ერის: მდიდარი თუ ღარიბი, მეცნიერი თუ უვიცი — შინაგანი ინტიმიური განცდით შეიგრძნობს ეროვნულ სულს, თავის ერის იდეას და მის ჭირ-ვარამს. აქ არის ნება თავისუფლად გაშლილი ერის საკეთილდღეოდ. აქ არ არის ძალდატანება ზევიდან, სახელმწიფოდან. ყოველი ინდივიდი უშუალოდ განიცდის აუცილებლობას თავშეწირვისას, თუ მის სამშობლოს უბედურება ატყდება. მაშინ როდესაც ძალის სახელმწიფოში პირიქით ხდება. აქ ხალხზე ბატონობს სახელმწიფო, რომელიც უხეშ ძალაზეა დაგეგმილი. ხალხში არ არის შეგნება ეროვნული მეობის, არ არის ეროვნული სულიერი კავშირი. ხალხი მხოლოდ ემორჩილება ვიღაც გარეშე ძალის სურვილს. აქ არის მხოლოდ ხელოვნური შეჯგუფება ხალხის ძლიერ ხელისუფლების ქვეშ და არა ერი.

რუსეთი საუკეთესო ტიპია ასეთ სახელმწიფოსი. აქ არ არის ერი, რადგან არ არის გაგება თავის თავის. არ არის შინაგანი გაგება თავის «მე»-სი. თავის ისტორიულ ფორმაციაში, რუსის ხალხს არაფერი შეუტანია. რუსეთის ისტორიას ქმნიდენ მხოლოდ სისხლიანი დიქტატორები.

1897 წელს საფრანგეთ რუსეთ შორის დადებულ კავშირზე ფრანგი მეცნიერი *Léon Duguit* შწერდა რომ ეს იყო ხელშეკრულება არა ორ ერს შორის. ერთი მხრივ საფრანგეთის ერი, კეთილშობილი და გულუხვი — მეორე მხრივ არა რუსის ერი, არამედ მისი მთავრობა. აქ არ იყო შეთანხმება, კავშირი ორ ერს შორის. და მართლაც საკმარისი იყო პირველი გამოცდა რომ ეს ყალბი კავშირი ჩამხობილიყო. რომ მართლა, სინამდვილეში ყოფილიყო რუსის ერი, როგორც არსებობს საფრანგეთის ერი, რომ ეს ხელშეკრულება ყოფილიყო ორ ერთა შორის დადებული, 1917 წლის რევოლიუცია, მთავრობის შეცვლა არ შესწყვეტდა ამ კავშირს. რუსებს რომ გაეგოთ მსოფლიოში, როგორც ეროვნული ომი როგორც ევროპიელ ერებს, ის ამ ომიდან ისე სამარცხვინოდ არ გამოვიდოდა. რომ რუსის ხალხს შეეგნო თუ რისთვის იბრძოდა ის ბრძოლას განაგრძობდა საბოლოოდ და ბოლშევიზმს არ შეჰქმნიდა.

აშკარაა რუსეთი არ არის ერი, არამედ მასა მოსახლეობისა ულოღმო, უმიზნო, უნებო. რომელსაც შეუძლია მიიღოს ყოველგვარი ტირანია: უვიცი გლეხობა, რომელიც მზათაა დათანხმდეს ყოველივეს ერთ ნაჭერ მიწისათვის. ინტელექტუალური მასა კი ავადმყოფი სულით, გაჟღენთილი კარლ მარქსის კატასტროფულ თეორიებით სისხლიან ექსპერიმენტებს ახდენს მის განსახორციელებლად.

ბოლშევიზმი, ეს მშობლიური ნაყოფია რუსეთის მიწის. მას შეეძლო მხოლოდ იქ დაბადებულიყო და გაზრდილიყო.

კითხეთ რუსის ხალხს რა უნდა მას, სად მიდიან, რა იდეალით? რუსეთი გაპასუხებს თავის ცნობილ სიტყვით: *ne ponimau* არ მესმის, ან უკეთ *nitchego* — არაფერია. მთელი რუსეთი ამ ორ სიტყვაშია მოქცეული, ამით ამოიწურება. რუსის ხალხი: ეს არ მესმის, არაფერია.

ფ. ორბელიძე.

---

## ჩვენი ბრძოლის მეთოდები

რუსეთმა ქართველი ხალხის სულიერი ქულტურა მეტად შეარყია. საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. მაღლათ კულტუროსანმა ქვეყნებმა, სპარსეთმა, არაბეთმა, ბიზანტიამ მასზე უდიდესი კულტურული გავლენა იქონიეს. ნიჭით და ენერგიით სავსე ქართველმა ხალხმა ამ უცხოეთიდან შეთვისებულ კულტურას ქართულად გადამალიშინებულს ზედ დაურთო თავისი ინდივიდუალური შემოქმედება. ამ სინტეზმა ჩამოაყალიბა და გამოაქანდაკა ქართული ეროვნება და მისი ფიზიონომია. თუ საქართველომ საუკუნეთა განმავლობაში შესძლო თავის მიწა-წყლის, დამოუკიდებლობის და ეროვნულ არსებობის დაცვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჰქონდა მძლავრი კულტურა, დამყარებული საღ ეროვნულ ნიადაგზე. მაგრამ 125 წლის განმავლობაში უბარგაროსესი მტერი ანგრევს ჩვენ ეროვნულ კულტურას. ანგრევს მას იმ გამანადგურებელ, პოგრომულ ენერგიით, რომელიც ახასიათებს რუსის ბნელ გამათახსირებელ ბუნებას. რას აკეთებს ამ დროს ჩვენი უდიდესი პოლიტ. პარტია სოც. დემ., ებრძვის თუ არა ამ მოვლენას? მაგრამ როგორ შეიძლება ეს უკანასკნელი ებრძოდეს რუსეთიდან მოსულ გახრწნილებას, როდესაც თავის საკუთარი ფესვები სწორედ რუსეთის ჭაობებში აქვს გადგმული. სწორედ ამიტომ არის ეს პარტია ყოველთვის ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება რუსეთის პოლიტიკას ჩვენში.

ერის კულტურა დამყარებულია ოჯახზე, სარწმუნოებაზე, ტრადიციებზე, ეროვნულ ზნეობაზე, რომელიც ჰქმნის ეროვნულ შეგნებას, ნაციონალიზმს. სოციალისტებს არა სწამთ ოჯახი და ებრძვიან მას; წინააღმდეგნი არიან სარწმუნოების და მას «მეცნიერულ» მატერიალიზმს უპირდაპირებენ; არა სწამთ ისტორიულ ევოლუციონურად შექმნილი ზნეობა და ტრადიციები, მათ ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობათ ნათლავენ და «პროლეტარულ» ზნეობას უპირდაპირებენ, თითქოს კლასოვრივი ზნეობის არსებობა შესაძლებელი იყოს; პატრიოტიზმი დაძველებულ შეგნებათ მიაჩნიათ და ებრძვიან მას, მაშინ როდესაც პატრიოტიზმი უმაღლეს კულტურის შედეგია და ამ შეგნებას მოკლებული ხალხი სდგას ცივილიზაციის დაბალ საფეხურზე, როგორც სენეგალელი ზანგები, რუსები და სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენი სოციალისტები ერს ჰყრიან თავდაცვის უმთავრეს იარაღს: ეროვნულ შეგნებას, პატრიოტიზმს, რითაც სპობენ ნაციონალიზმს. ამნაირად ზნეობრივად და სულიერად განიარაღებულმა ერმა რა უნდა დაუპირდაპიროს მასზე მოსულ მტერს? რაში უნდა ჰპოვოს ბრძოლისათვის საჭირო სულიერი სიმტკიცე? ის სიმტკიცე ურომლისოთაც თოფი და ზარბაზანი ფუჭი და უძლურია?

ეს სულიერი სიმტკიცე, ეს რწმენა, პატრიოტიზმი სოციალ-დემოკრატიამ წართმევა ჩვენ ხალხს დიდი ხნის ენერგიულ მოღვაწეობის წყალობით. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ჩვენმა ხალხმა ვერ იბრძოლა 1921 წელს საკმარისი ენერგიით. ამ მოღვაწეობას დღესაც განაგრძობენ ჩვენი სოციალ-დემოკრატები. სანამ ქართველი ერი არ განიკურნება სოციალისტურ სენიდან და არ დაადგება ნამდვილ ეროვნულ გზას, რომელიც თეთრმა გიორგიმ ისე მშვენივრად გამოხატა სამ სიტყვაში: «საქართველო უწინარეს ყოვლისა», ის მნიშვნელოვან გამარჯვებას ვერ იხილავს.

წინააღმდეგ სოც.-დემოკრატებისა ჩვენ ვამბობთ: საქართველოში უნდა აღსდგეს ნაციონალიზმი მთელ თავის ინტეგრალურ ფორმებში, როგორც ერთად ერთი გზა პროგრესის და თავისუფლებისა. სოციალისტურ გზას კი ყოველი ხალხი მიჰყავს ანარქიისა და დანგრევისაკენ, რაც ცხოვრებამ დაამტკიცა და ცხადჰყო.

ნაციონალიზმი უნდა დამყარდეს თავის ბუნებრივ ნიადაგზე. ეს ნიადაგი შერყვნილი რუსების და სოციალისტების მიერ უნდა გასუფთავდეს, განიკურნოს, განმტკიცდეს მთელ თავის ქართულ შინაარსით და ხასიათით. ამაშია მომავალი ბედი ჩვენი ქვეყნისა.

ამიტომ თეთრი გიორგის მოქმედება მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის დღევანდელ ბრძოლით არ განისაზღვრება, ჩვენ უყრით საძირკველს იმ ეროვნულ შენობას, რომელიც უნდა ააგოს სულიერად გარდაქმნილმა ქართველმა ერმა. ჩვენ საქართველოს უკაფავთ გზას, რაც დიდმა დავითმა გააკეთა მე საუკუნეში: საქართველოს აღშენება.

გაზეთი თეთრი გიორგის ფურცლებზე თანდათანობით და მეთოდიურად განვიხილავთ საქართველოს ცხოვრების ყველა საკითხებს და საბოლოოდ ჩამოვაყალიბებთ ეროვნულ დოქტრინას. ღრმად და ურყევად დარწმუნებულნი ვართ, რომ ადრე თუ გვიან ქართველი ხალხი ერთსულოვნად დაირაზმება ამ ეროვნულ დოქტრინის გარშემო. ქართველი ხალხი ან უნდა დაადგეს ამ ინტეგრალურ ნაციონალიზმის გზას ან სული უნდა ამოხდეს რუსეთიდან შემოტანილ ბოლშევიკურ, მენშევიკურ და დემოკრატიულ დოქტრინების მიერ მის სხეულის გლეჯვის პროცესში. ამნაირად ჩვენი მიზნები ღრმა და რთულია. ძნელია მათი განხორციელება. ჩვენ გვესმის ყოველივე ეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ თეთრი გიორგის იდეა გაიმარჯვებს. მხოლოდ საჭიროა დაუშრეტელი ენერგია და ურყევი რწმენა საქართველოს მომავლისადმი.

ამ მიზნებიდან გამომდინარეობს ჩვენი ბრძოლის მეთოდებიც.

ჩვენ არ ვეძებთ არც აქ, მთავრობის გარშემო ხელის გათბობას, არც მომავალ საქართველოში პოლიტიკურ კარიერას. წმინდაა ჩვენი გზა, წმინდაა და დიადი რომ მას პიროვნულ ამბიციების და გულის ვნებათა შავი ქვებით არ მოვკირწყლავთ. არასოდეს არ მოვმებნით დემაგოგიურ და მატერიალურ საშუალებით მოხვეჭილ უმრავლესობას. ჩვენ სიებით ხელში არ დავდივართ ახალ და შემთხვევითი წევრების ჩასაწერად. თეთრი გიორგის კარები ღიაა მხოლოდ იმათთვის, ვინც წინასწარ მის იდეებს გაიზიარებს, მათ ღრმად ირწმუნებს, სულით მიეცემა მის საქმეს; სავსებით უსიტყვოდ დაემორჩილება მის დისციპლინას, ვინც ვერ აიტანს ამ დისციპლინას ივი ჩვენი წრიდან იდევნება მაშინათვე. ჩვენ უპირველესად გვაინტერესებს იდეა და არა პოლიტიკური სიძლიერე და ბატონობა. კენჭის და ხმის მიცემით მოპოვებული ბატონობა უსაძირკვლო შენობაა, ჩვენ კი გვსურს ძლიერ და მჭიდრო ეროვნულ ციხე-სიმაგრის აგება, რომლის საძირკველი იქნება ეროვნული შეგნება და ინტეგრალური ნაციონალიზმი თავის თანამედროვე ფორმებში. ბრძოლა პარტიულ ბატონობისთვის პოლიტ. პარტიებისთვის დაგვითმია. ეს უკანასკნელნი ასეთ ბრძოლის პროცესში ყოველთვის ასცდებიან ეროვნულ გზას. ეს ლოღიკურია: ყოველი პოლიტიკური პარტია არის წარმომადგენელი განსაზღვრულ სოციალურ კლასის და მხოლოდ მის ინტერესებს ემსახურება. მას ვერ წარმოუდგენია ეროვნული ორგანიზმი მთლიან ერთეულად. იგი იძულებულია თავისი საკუთარი არსებობის გამართლებისათვის და უზრუნველსაყოფად მერმანეველ კლასის ინტერესები ერის ინტერესებზე მაღლა დააყენოს. ეს არის ფატალური, აუცილებელი გზა პოლიტ. პარტიებისა. ამიტომ პოლ. პარტიათა ბატონობა თუ ერის ცხოვრების კრიტიკულ მომენტში ძლიერი და ძლევამოსილია იგი უსათუოდ ერისათვის ტრაღიკულად თავდება. ამის საუკეთესო მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა.

ჩვენ არ ვაწარმოებთ პარტიების მიერ ცნობილ პარტიულ ბრძოლას. ამიტომ ჩვენ არ ვებრძვით [illegible] გრძოლა პარტიულ ხელმძღვანელთა [illegible] ლიმე პიროვნება პარტიულ მოღვაწეთ პოლიტიკური პატრონების გზაზე მდოგება ისინი [illegible] დამცირებას ცილის წამების, ჭორების, ინტრიგების და ყველა გინძურ საშუალებათა წყალობით. ბრძოლის ასეთი მეთოდი თეთრი გიორგის ბუნებას ეწინააღმდეგება. ჩვენ ვიბრძვით იდეურად და მოწინააღმდეგეს ჩვენს იდეებს უპირდაპირებთ და არა ჭორებს და ცილის წამებას. ჩვენ გვსურს ქართველმა ხალხმა ჰპოვოს თავის დაკარგული «მე»; საქართველოში გაიმარჯვოს ეროვნულმა იდეამ თავისი მთლიანობით. ჩვენი დევიზი «საქართველო უწინარეს ყოვლისა» ქართველი ხალხის გზის მაჩვენებელ ლამპრად გადაიქცეს. მაშინ ჩრდილოეთის ღრუბლებით დაბნელებულ საქართველოს ცაზე თეთრი გიორგის ბრწყინვალე მზე ამოცურდება თავისი ძლევამოსილი სხივებით, მზე თავისუფლების და აღორძინების.

---

ქვემოთ მოყვანილ მოწინავე წერილს კიდევ დიდი ომის წინ სწერდა ჟენევაში დაარსებული სეპარატისტთა ორგანო «თავისუფალი საქართველო». მაშინდელ სეპარატისტებს დევნიდენ და მოღალატეებად აცხადებდენ ქართველი სოციალისტები და ავტონომისტები. მაგრამ გავიდენ წლები და მთელმა საქართველომ მიიღო უდიდესი იდეა. დღეს თეთრი გიორგის ორგანიზაცია იდევნება ყველა ქართულ პარტიებისაგან მის მიერ წამოყენებულ იდეების გამო. გავლენ წლები და ყველა ჩვენი პარტიები და ქართველი ხალხი მიიღებს თეთრი გიორგის იდეებს, როგორც მიიღეს მათ სეპარატისტთა იდეა.

«ისტორიულმა პირობებმა ქართველი ერი ჩააყენა მეტად დიდ განსაცდელში. დღეს თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთს მხარეს ქართველი ერის არსებობისას, რომელზედაც მტრებს იერიში არ მიჰქონდეთ. მოპირდაპირე ძალები ქართველ ერს დაშლას, გაქრობას უქადიან. თვით მის შემადგენლობაშიაც არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ამ გარედან მოტანილ იერიშს ხელს უწყობენ. ასეთი მდგომარეობა გვავალებს ჩავფიქრდეთ, ავწონ-დავწონოთ ჩვენი არსებობის ყოველი მხარე, ნათლად შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა და გამოვძებნოთ ზომები ქართველი ერის პიროვნების დასაცველად. მეორე მხრივ, ჩვენ მდგომარეობაში სხვა ერებიც ყოფილან და დღესაც არიან. თვითეული მათგანი იბრძვის, რათა მონობას თავი დააღწიოს და გათავისუფლდეს. ჩვენ ვუკვირდებით მათ, ვსწავლობთ მათ ბრძოლის საშუალებათ და ამით ვიძენთ მეტ გამოცდილებას და შეგნებას.

ჩვენის აზრით, არც ერთი დიდი საკითხი ქართველი ერის ერსებობისა ჯერ-ჯერობით არ არის ეროვნული თვალსაზრისით გარკვეული და გადაჭრილი. ჩვენ ვეცდებით ყველა ამ საკითხებს მივცეთ გარკვეული გადაჭრა, შევიმუშაოთ მთელი გეგმა ეროვნულ თვითარსებობის დაცვისა, საქართველოს აღდგენისა, მისი განთავისუფლებისა და ამ გეგმის გარშემო თავი მოვუყაროთ მთელ შემოქმედ საქართველოს. ჩვენ კარგად გვესმის სიძნელე იმ საქმისა, რომელსაც ხელს ვკიდებთ, ისიც კარგად ვიცით, თუ როგორი უნდობლობით მიეგებება ჩვენს აზრს გათახსირებული, ეროვნულად გარყვნილი ნაწილი ქართველობისა, მაგრამ ეს ჩვენ არამც თუ არ გვაშინებს, პირიქით მეტ ძალას და სიმხნევეს გვაძლევს. შედარებით ვერც ერთ ერში ვერ ჰპოებთ თქვენ იმდენ მოღალატეს, ვამცემს, სამშობლოს ორგულს, რამდენიც ჩვენშია. მაგრამ ქართველ ერის შემოქმედების ძალა იმდენად დიდია, რომ მათაც გასრესს, გარეშე მტერთაც მოიგერიებს და გაიკვლევს გზას თავისუფლებისაკენ. დარწმუნებულნი, რომ სამშობლოს ყოველი შვილი ჩვენთან არის სულიერად, იტანჯება იმავე საკითხებით, რომელთა გამორკვევა ჩვენ მიზნად დავისახეთ, ჩვენ ველით მათგან თანაგრძნობას, თანამშრომლობას, ჩვენთან ერთად მუშაობას და ბრძოლას ძვირფას სამშობლოს, დიდებულ ქართველ ერის პოლიტიკურად აღდგენის, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.»

---

გაზეთი «თეთრი გიორგი» ხსნის თავისუფალ ტრიბუნას სამხედრო წერილებისათვის. ვთხოვთ სამხედრო პირთ გამოსთქვან თავიანთი აზრი ქართული ჯარის ორგანიზაციის შესახებ.

შეცდომის გასწორება:

პირველი გვერდის მესამე სვეტზე დაბეჭდილია 4, 5, 6, უნდა იყოს: 1, 2, 3.

## «თეთრი გიორგი»-ს

### (წერილი საქართველოდან)

გიგზავნით მხურვალე სალამს. გაზეთი «თეთრი გიორგი»-ს პირველი ნომერი მივიღეთ. მოუთმენლად ველით შემდეგ ნომრებს. ბევრი გვაქვს სათქმელი, მაგრამ ადვილად წარმოიდგენთ მოკლე წერილის მიზეზს. ერთი კი უნდა ითქვას: ის რაც თქვენ სთქვით ხმამაღლა, გაბედულად, არის დღევანდელი ქართველი საზოგადოების ამოძახილი, მისი ფიქრი და მისწრაფება. დღეს აქ, ჩვენი, საზოგადოების ყველა წრეები გადარჩევის პროცესს განიცდის. ქვეყნის ნამირალები, სულმოკლენი, ლაჩრები, გამყიდველები მტრის განაკში თავსდებიან. ის კი ვისაც ქართული სული შერჩენია, ვისაც სწამს სამშობლო და მისი მომავალი, თქვენებრ გრძნობს და აზროვნობს. ძნელია ამის ხმამაღლა აღიარება არსებულ ტერორის პირობებში. ზოგი ერთხელ შეჩვეულ გზას თავს ადვილად ვერ ანებებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თქვენი დევიზი «საქართველო უწინარეს ყოვლისა» არის ის წმიდა სიტყვები, რომელიც მთელ ერს, ერთი — ეროვნული დროშის ქვეშ დარაზმავს და წაიყვანს დამოუკიდებლობის და დიდებისაკენ. ქართველი ხალხი დღეს აშკარად გრძნობს ბოროტებას ერის ერთი ნაწილის მეორეზე მისისინების იდეოლოგიისას. ერის ყველა ჯგუფების, ყველა კლასების თანამშრომლობა, აი ქვაკუთხედი მისი მომავლისა. ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა შესძლოს ამ ისტორიული მისიის შესრულება.

წინ მედგრად, ამაყად და ჩვენც თქვენთან ვიგულეთ. შემდეგისათვის საჭიროა გაზ. «თეთრი გიორგი»-ს უფრო მეტი ნომრების გადმოგზავნა (თუ პირობები ამის საშვალებას იძლევიან). გაზეთის პირველი ნომერი ხელიდან ხელში გადადის (მისი რამოდენიმე ნომერი ჩეკას ჩაუვარდა ხელში). იმედი გვაქვს, რომ შემდეგი ნომრები უფრო გაგვაცნობენ ამ ორგანიზაციის აზროვნებას და ერთმანეთს მეტად დაგვაახლოვებს.

მხურვალე სალამი საქართველოდან «თეთრი გიორგი»-ს, და მის ეროვნულ — გამარჯვების დროშას, რომელზედაც აწერია: «საქართველო უწინარეს ყოვლისა».

ქალაქი — ამირანი

---

## ბიბლიოგრაფია

### მოსკოვი და წამებული საქართველო

გამოვიდა ფრანგი მწერლის რაიმონდ დიუგეს ნაწარმოები «მოსკოვი და წამებული საქართველო» ყოფილი ბრიტანეთის კომისარის ამიერ-კავკასიაში ბ-ნ სტოკის წინასიტყვაობით.

უცხოეთის ლიტერატურაში იშვიათია ასეთი გამოკვეთილი და მთლიანად დასაბუთებული გამოცემა როგორიც არის გ. რაიმონდ დიუგეს «მოსკოვი და წამებული საქართველო», სადაც ავტორი აღწერს საქართველოს დამოუკიდებლობის შესანიშნავ ხანას.

წიგნის დასაწყისში ავტორი ეხება საქართველოს ძველი კოლხიდის, დიდებულ წარსულს, მის ბუნებრივ სიმდიდრეს, რომლითაც სავსეა საქართველოს მიწა-წყალი და ათავებს ჩვენი ხალხის არსებითი თვისების დახასიათებით, ტრადიციონალიზმი, ნაციონალიზმი და შეურყეველი რელიგიური რწმენა,

ეხება რა საქართველოს უკანასკნელ დამოუკიდებლობის ხანას და ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ავტორი მოგვითხრობს იმ სასტიკ და მუდმივ ბრძოლებზე საქართველო რომ აწარმოებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელიც ასე ტრაღიკულად დამთავრდა ჩვენთვის.

ზე ღდა გზა ავტორი მიუთითებ წითლების მიერ ჩადენილ ისტორიაში ჯერ არ გაგონილ სიმხეცეზე და ბოროტმოქმედებაზე. ჩეკის სარდაფები და საიდუმლოება — აი წითელ ინკვიზიტორთა და მწამებელთა მიღწევანი.

ავტორი გვიჩვენებს სოციალისტურ მმართველობის შედეგებს ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტურმა მთავრობამ, რომელიც უკუღმართ ბედის წყალობით მოექცა სახელმწიფოს სათავეში და ისიც განსაკუთრებულ კრიტიკულ მომენტში, მოსპო ერის ცოცხალი ძალები და მეტად შეამცირა მისი თავდაცვითი საშვალებანი, პარტიულმა ინტერესმა ჩაყლაპა, დაიკავა ერის ინტერესების ადგილი, ისე როგორც კლასთა ბრძოლამ და სხვა და სხვა სოც.-რეფორმებმა შთანთქა ხალხის ნამდვილი მოთხოვნილებანი, სოციალისტური თეორია—პრინციპები არ ეთანხმებოდენ ერის სინამდვილეს რისთვისაც მართველი წრეები შეცდომას შეცდომაზე უშვებდენ, აი, მაგალითად: მაშინ როცა ერის გადარჩენის ინტერესები მოითხოვდენ ეროვნული ჯარის სერიოზულ ორგანიზაციას, სამშობლოს დასაცავად მოსალოდნელ გარეშე თავდასხმისაგან, მმართველი წრეები მეტ ყურადღებას აქცევდენ პარტიულ ჯარს — სახალხო გვარდიას, რომლის არსებობა ჰქმნიდა ანტოგონიზმს ეროვნულ ჯარს და მის შორის. როდესაც ბოლშევიკური საფრთხე კარზე იყო მომდგარი და ემზადებოდა მაზვილი ჩაეცა ზურგში მუხანათურად დამოუკიდებელ საქართველოსათვის, საქართველოს მთავრობას არ სჯეროდა, რომ თავიანთი სოციალისტი-ძმები მათ წინააღმდეგ მახვილს აიღებდენ.

მიუხედავად ყველა ამისა ქართველმა ხალხმა თავის გმირობით და თავგანწირული ბრძოლით დაამტკიცა რომ მას უნდა დამოუკიდებელი ცხოვრება, თავის ჩვეულება-ადათების, სარწმუნოების დაცვა და რომ ამათ არავის არ დაუთმობს. სრულიად ახალგაზრდა ჯარმა, რომელსაც ყავდა საკმაოდ მომზადებულ ხელმძღვანელთა კადრი, და რომლის თვითეული ჯარისკაცი თავის არსებაში ატარებდა წინაპართა სიმამაცეს და გამარჯვების სულს, რამოდენიმეჯერ (თუმცა ხანმოკლედ) იდღესასწაულა თავის გამარჯვება და მით თავს დაიდგა დიდების გვირგვინი.

არ შეიძლება ყოველი პატიოსანი მოქალაქის გული ვინც გაეცნობა ამ წიგნის შინაარსს არ აღივსოს მრისხანებით და სიძულვილით ბოროტმოქმედ წითელი ბარბაროსების წინააღმდეგ და მოწიწებით არ მოიხაროს ქედი ქართველი ერის წმიდა მსხვერპლთა წინაშე ღრმა რწმენით, რომ მისი წარსული რაინდობა, გმირობა და დიდება არის უტყუარი საწინდარი მისი საუკეთესო მომავლისა.

ავტორის მიუდგომლობა და სწორი ანალიზი დღეს ვფიქრობთ ყველასათვის აშკარა და უდაო ფაქტია. საჭიროა წარსული შეცდომების პირდაპირი და მიუკერძოებელი აღიარება თუ გვინდა უბედურებას თავი დავაღწიოთ და მომავალშიც არ განმეორდეს.

---

## «რუსთაველიანა»

გამოვიდა პავლე ინგოროყვას გამოკვლევა ვეფხვის ტყაოსნის შესახებ «რუსთაველიანა», სადაც ავტორი ეხება უმთავრესად ორ კითხვას: 1) შოთა რუსთველის ვინაობას და 2) ვეფხვის ტყაოსნის თარიღს. მისი აზრით დღემდე არსებული შეხედულება, რომ შოთა იყო მეხხი, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან ვეფხვის ტყაოსნის დასასრულს სტროფაში ნახმარი სიტყვები: «ვინმე მესხი მელექსე» ეკუთვნის არა შოთას, ავტორს პოემისას, არამედ ამ ნაწარმოების გამგრძელებელს. პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, რომ შოთა იყო ჰერეთელი რუსთვიდან (ქართლის და კახეთის საზღვარზე). რუსთავი 1191-1195 წლებში გადავიდა ჰერეთის ერისთავთა სამფლობელოში. ამ დროს ისტორიაში ცნობილი შოთა ჰერეთის ერისთავი და შოთა რუსთაველი — ავტორი ვეფხვის ტყაოსნის არის ერთი და იგივე პირი. ჰერეთის ერისთავები ეკუთვნოდენ ბაგრატიონთა შტოს, ისე როგორც კახეთის და ქართლის. სახელი შოთა კი არის საგვარეულო სახელი ჰერეთის ბაგრატიონთა. შოთა იყო თამარ მეფის კარზე მიღებული როგორც ერისთავი და მწერალი, მაგრამ მას შემდეგ რაც მან გამოაქვეყნა თავის «ქებანი» გაძევებულ იქმნა საქართველოდან და დაიწყო უცხოეთში ყარიბობა. ეს ნაწარმოები შოთასი, რომელიც თვით შოთას სიტყვებით ღირსებით ვეფხვის ტყაოსანს აღემატებოდა, მოსპობილ იქმნა, რადგან მასში გატარებული იყო იმ დროს საქართველოში კარგათ გავრცელებული მანიქეიზმის შეხედულებანი. შოთა ეკუთვნოდა მანის რელიგიურ თუ ფილოსოფიურ ორდენს და როცა თავის მეფობის უკანასკნელ წლებში თამარი მოექცა ორტოდოქს კლერიკალების დიდ გავლენის ქვეშ, შოთა დასჯილ იქმნა საქართველოდან გაძევებით. თამარის შემდეგ გიორგი ლაშას დროს შოთა დაბრუნდა საქართველოში, რადგან გიორგი ლაშა თვით იყო მანიქეიზმის მიმდევარი, ხოლო ძველ ვეზირთ და კათალიკოზს, ამით უკმაყოფილო, დასტოვებს სამეფო კარი. მონღოლების ჩვენში ბატონობის დროს შოთა რუსთაველი ხელმძღვანელობდა ქართველ პატრიოტთ მონღოლთა საწინააღმდეგო განზრახულ აჯანყებაში და კოსტის თავის კრებას 1243 წ. შოთა რუსთაველი დაპატიმრებული და გატიტვლებული იტანდა ისტორიაში ცნობილ წამებას, რომელსაც შემდეგ თავის ნებით შეუერთდა ცოტნე დადიანი. გარდაიცვალა შოთა 1225. წ. 76 წლისა.

რაც შეეხება ვეფხვის ტყაოსნის თარიღს, ავტორი ამტკიცებს რომ ის დაწერილია 1196-1207 წლებში.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში ჩვენ შევეცდებით ამ მეტად საინტერესო და თვალსაჩინო შრომის უფრო ვრცელ განხილვას.

---

## ქართველი მხატვრები პარიზში

პარიზის დამოუკიდებელ მხატვართა 38-ე გამოფენაზე რომელიც გაიხსნა 21 იანვარს დიდ სასახლეში, მონაწილეობა მიიღო პარიზში მყოფმა სამმა ქართველმა მხატვარმა.

დ. კაკაბაძე— სურათი და ქანდაკება, არის წარმოდგენილი მოდერნული სახით. ამ ნაწარმოებში არის უსათუოდ მიღწევა იმ ახალი სტილის, რომელიც მხატვარმა აიღო, როგორც ახალი გზა სამხატვრო შემოქმედებისა,

ელენე ახვლედიანი—თავის ორი სურათით— ჩვეულებრივ კარგია, ერთში გადმოგვცემს ქართულ სახეების ტიპებს. აქ მხატვარი ქალი მუდამ უფრო ძლიერია, როცა მისი თემა შემოქმედებისა მშობლიურ ნიადაგიდან არის ამოღებული. იგივე სჩანდა მის შარშანდელ საკუთარ გამოფენაზე. სრულიად გასაგებია, რომ პარიზის მხატვრულმა პრესამაც ამ მხრივ მიაპყრო ყურადღება.

მ. ბილანიშვილი — წარმოდგენილია გამოფენაზე ორი სურათით. ეს ახალგაზრდა მხატვარი სულ რამოდენიმე წელია გამოვიდა სამხატვრო ასპარეზზე და დღეს უკვე დიდ ინტერესს იპყრობს ყველასას. მასში უსათუოდ სჩანს შეგნება თანამედროვე მხატვრულ გემოვნებისა. სამართლიანად აღნიშნავს ერთი გერმანული გაზეთი, როცა სწერს: მ. ბილანიშვილი ერთი საუკეთესო მოვლენათაგანია ამ გამოფენაზე მისი პორტრეტი მშვენიერ კონცეპციას წარმოადგენს. მისი ნაზოგრივი მხარე ლამაზია, განაწილება სინათლისა და ჩრდილების იმსახურებს სრულ ცნობას და იძლევა ლამაზ ეფექტს.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

## ბრძანება № 35. 29 დეკემბერი

### თეთრი გიორგის მთავარი მდივნის

1 გამძევებულია თეთრი გიორგიდან ბ. ნიკოლოზ დგებუაძე უდისციპლინოების გამო.

---

## ბრძანება № 37 19 იანვარი

2. თანახმად მისი თხოვნისა გარიცხულია თეთრი გიორგიდან გ. მიხეილ კედია (დირექტორიის მიერ სიამოვნებით მიღებულ იქმნა ბ. მ. კედიას განცხადება თეთრი გიორგიდან გასვლის შესახებ).

---

## ქართულ კოლონიაში

ქართულ კოლონიის უკანასკნელ საზოგადო კრებამ აირჩია თავის ახალი გამგეობა ხუთი კაცის შემადგენლობით.

კოლონიის თავჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა ცნობილი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ექიმი ბატონი ვახტანგ ღამბაშიძე.

---

## თეთრი გიორგის ბანკეტი

გასული თვის 30-ს წმიდა ნინოს დღესასწაულის აღსანიშნავად პარიზის ერთ-ერთ სასადილოში მოეწყო თეთრი გიორგის წევრთათვის ბანკეტი. ბანკეტს ხელმძღვანელობდა ბ. ლეო კერესელიძე, რომელმაც საქართველოს უმთავრეს ისტორიული გმირების მოგონებით და მათი ცხოვრების გადმოცემით განაცოცხლა დამსწრეთა შორის ჩვენი წარსული დიდების საუკეთესო თანამგზავრნი. ბანკეტი მშვენივრად ჩატარდა.

---

## თეთრი გიორგის ბიბლიოთეკა

ს. პ. ა. «თეთრი გიორგი»-ს საზღვარგარეთის სამდივნომ დააარსა ბიბლიოთეკა, რომლითაც საშუალება ექნება ისარგებლოს ყველა ქართველს.— წიგნების შეგროვება დავალებული აქვს ბიბლიოთეკის გამგეს ბ. ლიპარტიას.

ვთხოვთ ქართველ მოქალაქეებს შემოსწირონ წიგნები (რა ენაზედაც არ უნდა იყოს) შემდეგი მისამართით: ბ. ლიპარტიას

**Monsieur LIPARTIA**
**16, Rue Raspail, LEVALLOIS-PERRET**

---

## განცხადება

ცნობილი პარიზელი ვექილი ბ. ჟელი კისრულობს აწარმოოს ყოველგვარი იურიდიული საქმეები ქართველებისათვის ხელსაყრელ პირობებში.

**Maître GELLY**
**9, Rue de Cabrol, PARIS (X^e^)**

---

## ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგ ჩემს განცხადებას.

ზოგი ვაჟბატონები პარიზში მყოფ ქართველ სტუდენტებში ავრცელებენ საფუძველს მოკლებულ პროვოკაციულ ხმებს ჩემს წინააღმდეგ. ამისთვის მე ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში ამ ჭორების ავტორთ: ბ. ბ. დგებუაძეს და ტარასაშვილს. ჩემის მხრივ მოსამართლეთ ვასახელებ ბ. ლ. კერესელიძეს.

პატივისცემით დ. კლდიაშვილი.

---

გამომცემელი: საქართველოს პატრიოტული ახალ. თეთრი გიორგის საზღვარგარეთელი მთავარი სამდივნო

EDITION :

Secrétariat Général de la Jeunesse Patriote Georgienne à l'Etranger

Rédaction : Thethri GUIORGUI
19, Rue Roger,, 19 — PARIS (14e)